საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№364 2017 წლის 27 ივლისი ქ. თბილისი

„თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებაში (სსმ, 94, 12/08/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის:

1. **მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) პალიასტომის ტბასა და ნათხარებში თევზჭერა;“.

2. **მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. შავ ზღვაში სანაპირო თევზჭერის წესსა და პალიასტომის ტბასა და ნათხარებში თევზჭერის წესს ადგენს საქართველოს მთავრობა, ხოლო

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 14190
"31" 07 2017 წ.

სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერის წესს ადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**